ნიკოლოზ მიწიშვილი

შავი ვარსკვლავი

ფბ/ᲧᲐ-2224

სტამბოლი.
MCXXII

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ კათოლიკეთა
საკანეს საბეჭდავი
სტამბოლში,

Nicollo Mitsichvili.

ETOILE NOIRE



CONSTANTINOPLE

MCXXII.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფას დას—

ნინო ტაბიძეს.

როცა დაწყევლილ ცოდვის ფრინველმა
ცეცხლის სვეტები გადმომაყარა [1])—
სულის ჭაობში გამოზრდილ გველმა
უბედურება შემომახარა.

აქედან—ჩემი ხმელი სხეული
ჯვარზე ჰკიდია თვალდახეული,
ასე დამჩემდა უბედურება:—
ჩემი ვარსკვლავი გახდა წყეული
და ჩემი ლექსი—ბედის მდურება.

მზე ჩემთვის სითბოს აღარ იმეტებს.
დაქცეულია ყველა ხიდები...
გამოვიტირებ ყველა იმედებს
და ეგვიპტეში გავიყიდები.

ნუ გაიხსენებ ჩემ სახელს ავად—
ბედი დამეცა გლოვის ვარსკვლავად.

I.

გქონდა სამშობლო საყვარელი და მიატოვე.
რად გენანება დახლეჩილი შენი თვალები.
გიყვარდა სატრფო და, უღირსმა, სხვას მიათხოვე—
ბარემ დასთოვე ეგ ცრემლებიც, განაწვალები.

შენ გადასჩეხე მოგონების ყველა ლერწები
და რა გატირებს უცხო ზღვაში, უცხო აფრაზე.
ეხლა რას უხმობ, ეძახი და ეალერსები,
როცა იღბალი სამშობლოში შენ გააბრაზე.

ზღვაში იალქნით საკუთარი ჩაუშვი კუბო
და რაღას ნანობ გადაუხდელ პანაშვიდებზე.
ნუ თუ გგონია შენი გულით ზღვა დააგუბო,
როცა ჰკიდიხარ დასახჩობად ბედის თითებზე.

ასე აყივლებს წმინდანიანს ია—სოფია 2)
და ჯვარმოხსნილი კონსტანტინე ასე მახელებს.
უიმედობა ჩემს თვალებში ჩანასობია,
მაგრამ იმედათ ვეფარები ძვირფას სახელებს.

II.

დაბერავს ქარი საქართველოდან
და მოგონებას გავყვები ჩქარა:
ასეთი ბედი რად მომელოდა,
რად ავეკიდე კარიდან კარა.

გადამეშლება წარსული დღენი.
პოეზია და ცივი თითები.
გადამიარენ, ვით ამორძლები—
ამბები, შორით განადიდები.

მაშინ დავდგები მაღლა ცერებზე.
გავიმართები. გულს გავაქორებ
და—საქართველოს მზიან სერებზე
ცრემლიან თვალებს გადავაგორებ.

III.

ქარია. სწივა.
ისეთი ზამთარია.
ქარია. ავდარია:—
პოეზიას სცივა.

ქუჩაზე მიჰქრიან
მოლუნული კაცები.
ფიქრია—
მოსატაცები...

ყვირიან. იქადიან
ტრამვაები.
პოეტები დადიან
აბუზული.
სიცივეა. ვაება...
იხვევა აფიშა რუსული.

იწყება თეატრები.
შესავალთან დიდი ომია.
ვის მოეხათრები...
ანათებს შორით უცხო სიტყვა—
„გასტრონომია“. 3)
გალარიბდა „ბუენოს-აირეს. 4)
შეიქნა ვაჭარი ჰაერის...

ნუთუ არავინ გაიარს კეთილი.
აღარც ქარს გაეწყო რამე.
გაყინულია კიბეც და კედელი.
საშინელი იქნება ღამე.

სძინავთ ქაშუეთსა და პარლამენტს. 5)
გვიანაა. აწი ვის მოედები.
ვინ გიდურჩება ასეთ ამინდს.
ღმერთო—
გაათბე პოეტები.

IV.

ხელიდან ხელში გადადის გაზეთი,
სადაც მთავრობის სადგომია. [6]
— რა ამბავია, ასეთი.
— ომია.
— ომია.
— გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.
ეძახიან ყველას.
ყველას,
რომ თათარი მოადგა ბათომს.
აჭარას ზარბაზანი ათოვს
და სამშობლო მოითხოვს შველას.
ისმის სახელები:
— ჩხენკელი. [7]
— ბრესტ-ლიტოვსკი. [8]
— ტროცკი. [9]
მიქრის ტრამვაები. ქუჩები. სახლები.
აღარაა ფიქრის დროც კი.
— გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოს.

V.

საქართველოსკენ ოცნებაში ყველანი მივქრით
და ყველას გული სამშობლოთი მოკონილია.
რა არის საქართველო, თქვენის ფიქრით,—
სინამდვილეა, თუ ტყუილად მოგონილია.
რადაა საქართველო მარტო გესლი
და მარტო ხიდი.
ან—მისი თესლი.
ნათრევი და ხიდზე ნაყიდი?
საქართველო უცნაურია
საუკუნეთა დენაში...
იქნება რუსთაველი იყო ურია,
რომ წავიდა პალესტინაში.
საქართველო ნისლია და ბურუსი.
ეროვნული სიტყვაა—ღალატი.
იქნება ირაკლიმ იძმო რუსი,
რომ ჩაეცვა უცხო ხალათი.
რა ვქნათ, რომ საქართველო გვაწუხებს
და ჩასობილია ყველაში.
გვიპერს სიყვარულის მარწუხებს,
მაგრამ—
ვის უნახავს სამშობლო
საქართველოში.

VI.

რამდენი ღამე მაზე ფიქრით გაგვითევია
და გვიტირია ჩვენი ბედი, რამდენი ღამე. [10])
როცა საზღვრებში გული ველარ დაგვიტევია—
დაგვილევია საკუთარი გულის ბალღამი.

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

. . . . . .

VII.

ჩვენც გვაწამებდა ბერი ქართველი
შორს ესპანეთში გადაკარგული. [11])
ქართველი—მისი გულის მმართველი
და გული იგი, სხვაგან ჩაგრული.
ჩვენც გვაწუხებდა ახალი სიტყვა
ის—„საქანელა და სახჩობელა", [12])
სადაც ეკიდა მოხრილი კითხვა
და მომაკვდავი ისმოდა ხველა.
მეც საქართველო ბევრი ვეძიე
და ვნახე მარტო ბუნდოვანება.
მის გამართლებას ვერ დავეწიე,
მაგრამ სხვას მაინც ვერ დავანებე.

VIII.

და როცა ვითვლი კბილებს ჩაცვენილს
და შეუძენელს კეთილ ქონებას.
ახალგაზდობას—კუბოთ ჩაწვენილს,
ჩემი ტირილის არ გაგონებას;
როცა ვიგონებ დუელს წაგებულს
და შემოსეულს ნაოჭებს თვალთან,
გულს—სიყვარულად გაფარდაგებულს
და მისვენებულს შავ დედოფალთან,—
მინდა იმედი საქართველოთი,
მშობელი ქვეყნის მძლავრი ტბორება,
და ნაცვლად მისა, რასაც ველოდი—
ციებიანი დგება ზმორება.
მხოლოდ ფიქრები შორს დარჩენილი—
ჩემი ილბალის ერთი წყალობა—
არიან გულზე გადაბჯენილი
და მანუგეშებს მათი გალობა.
ერთია ფიქრი, ვით აბრეშუმი
რბილი და თბილი—ძმებზე ჩაკრული.
და მეორე კი,—ყოველთვის ჩუმი,
ჩემი წამება—ბედით ჩაგრული.

IX.

ყოველთვის, როცა მოგონებანი
პოეზია და თქვენი ხსენება—
დგება ზამთარი წინ ნაადრევი
და ალკას [13] თეთრი გამოსვენება.
ალკას საფლავზე სხვა მადრიგალი.
კვალად ზამთარში რგვალი მაგიდა. [14]
პლანეტარული, მწვანე გრიგოლი [15]
გადმოღვარული მთვარის ბაკიდან.
გამოკვეთილი მთვარის ქვისაგან
მერიდიანზე რეკავს რეკვიემს—
„ვერვინ დაგვიხსნის დალუპვისაგან,
შიში გონებას დაგვარეკვიებს;
ქვეყანა იწვის. ქვეყანა კვდება.
მზეს ჭრილობები შემოესია.
უკანასკნელი ამბავი ხდება—
ცივდება მიწა და პოეზია“. [16]
ბნელ სასტუმროში სუქდება შიში.
ღმერთო ძლიერო და სასწაულო,
გადაარჩინე პოეტთა ჯიში.
დგება პაოლო.. [17]

X.

მაგრამ, უეცრად, სხვა მოგონება
მოეფარება ფართო მაგიდას,
რომ გაახელოს ჩემი გონება.
და სხვა ოცნებას გამოაკიდოს.
მე გამანათებს ზაფხული. სიცხე 18)
და გამოჩნდება უცხო ასული.
სახე, რომელიც ვერ დავივიწყე.
სახელი—გულზე გადარაზული..

XI.

მისმა სიუხვემ დამაქცია. დამაღარიბა.
და შევიქენი მათხოვარი ძვირფასი ხმების.
ეხლა მონა ვარ უსინათლო, უცნობი მეფის
და მანუგეშებს მხოლოდ ქრისტე და სახარება.

რა მენატრება მისი ნახვა, მასთან გარება
და სურნელება უცოდველი, ქალწული თმების.
რომ გაიგონოს ატირება ჩემი რითმების..
მაგრამ იღბალი უემურია და უკარება.

ნუთუ ჩემზეა მოგონილი ძველი არაკი,
რომ ვაჟი მოკვდა. ასულმა კი სხვა შეიყვარა.
ნუთუ ვერ ვნახავ. ნუთუ ცრემლი ასე იღვარა

და ღვთისმშობელმა არ მიიღო ჩემი ზვარაკი.
იყავ მშვიდობით. შეგემატოს ლაურას დღენი
და ბეატრიჩემ ჩაგაბაროს შენ სამოთხენი.

XII.

გაწბილებული ჩემი დღეები
დასავლისაკენ ეშურებიან.
ჩამობურული ცის კუთხეები
წვიმებისაგან აღარ შრებიან.
ნუთუ წამება აღარ მეყოფა,
ნუთუ ცხოვრებამ სულ გაირბინა.
მე ვისი გული გადამელობა,
ან ჩემი გული ვინ გაიფინა?
ვის დაუშავე. ვის მოვერიე,
ან ვისი. ცოდვა ავიღე თავზე:
ჩემი ცხოვრება მწარე მტვერია
და მტვერი—ჩემი თვალებით სავსე.
არ გადაშლილა ჩემთვის მაისი,
არც გამარჯვების ფართო ნოხები
და როცა ვნახე ელევაისი—
ამღერდენ გულში დიადოხები.
მაშინ სხვა ფიქრებს დავტრიალებდი—
ედელვაისი. ცაში სახლები.
მაგრამ დავეცი, ვით ევკალიპტი
და არ მეღირსა ჯვართამაღლება.

XIII.

არ მყავს არავინ.
ჩავესვენე, როგორც დაისი.
მწარე დღეები გულს მიღარავენ
და ასე ვკვდები—უდაბნოში თეთრი ტაისი.
მე სიყვარულის დახეული გავხდი წერილი.
უძლური ვარ ჰიანჰველაზე.
არ ვნატრობ შველაზე—
ცხელი უდაბნოს ცხელი ქვიშით ფეხდასერილი.
წამერთვა სიამე.
ასეთი ვარ სიყვარულით ბრმობილი:
ყმა—ბატონისგან სხვაზე დათმობილი
და კომლიანი ფუზი იამა,
მიკადოს ქვეყანაში ჩინურის ფერებით,
ქალები რომ ჰილოფზედ ხატავენ, მოფერებით.

XIV.

სადა ხართ, ძმებო,—ბრმა ამხანაგი
ვით დაიღუპოს ადრე და მალე.
რად მომეშალოს თქვენი ბანაკი,
ბედნიერებავ—სად დაიმალე.
იქნებ, ძარღვებში სისხლის მაგიერ
მართლა ვაება მქონდა ჩაცრილი.
იქნებ ჩემი გზა—სიეშმაკეა
დაბადებიდან თვალზე აცრილი.. 19)
მაშ, სიყვარულმა ჩემი ტრირემა
რად დაარღვია და გააფინა.
ედელვეისი. დიანა. ფრინა
თუთიყუში და წარბი ირემის—
რად მომაშორა, სად გააფრინა..

XV.

კიდევ გადავშლი, გადავშლი კიდევ
განიავებულ დღეთა ფურცლებსა.
ვით გავედევნე განწირულ წლებსა
და უფსკრულებზე გადავეკიდე.
თუ, როგორ პოეტს და კათოლიკეს [20])
მივართვი ლექსი ფეხაუდგმელი.
შემდეგ ქარებმა ვით გადალეკეს
სიყვარული და სიტყვა უთქმელი.
თუ, როგორ შემდეგ გულის ფიცარზე
გადაშენება მან დამაწერა. [21])
როგორ მაფიცა დასაფიცავზე
და დამილარა გზა—ალმაცერა..
ან, ბროწეულის სიტყვათა წყარო
თეთრ ღამეებზე გადალვარული.

ძმაო, ძვირფასო, დაუვიწყარო. [22])
პოეზია და ზღვა სიყვარული...
თუნდა ააკლოს ზღვამ დარიალი,
თერგის ყივილი მთამ გააჩეროს,—
იქნები მუდამ შენ ტაარიელი
და მეგობრობას დააფენ ჩეროს.
მაგრამ პოეტმა რვალის თვალისმა [23],
შეგაქო ლექსით, ცეცხლის მქონეთი—
ასე დააცხრა თუჯს ფალკონეტი [24])
ასე ატირა ცა—ნოვალისმა.
და ჩემი სუსტი ლექსის ალიზმა,
ვით დაიკვეხოს შოთას ღონეთი.

XVI.

საქართველოში არ ყოფილა არცერთი მეფე
და საქართველო ზღაპარია შოთას გარეშე.
ვის გააგონოს საქართველომ ტირილის ხმები,
ვინ დაინახოს ჩვენი ბედის ავი თარეში.
დიდი დავითი, თამარი და კახთა ბატონი,
მოურავი და სოლომონის გამრისხანება,
გრემი, იყალთო, სიონი და წმიდა ათონი,
ქართლის ძუძუზე დაწრეტილი თათრის ხანები,—
მათ ხსენებაზე დავიწყება დაიბანაკებს,
ეს ყველაფერი უმზეო და უსაბუთოა.
საქართველოს ბედს შოთა—ღმერთი მარტო განაგებს.
მარადისობა საქართველოს მან დაუტოვა.
და, როცა ქართლი სასიკვდილოდ გაისუდრება
და მის გონებას ააფუნებს ცხელი ანთება.

როცა ივერი გახმება და გაიფუთრება,
მისი ხსენება—გაქრება და გაიფანტება,—
მაშინ ქვეყანა მარტო შოთას გაახსენდება.
ანაფორაში, ის დადგება უფლის წინაშე.
საქართველოდან მოწყვეტილი, ის აენთება
და სამშობლოზე ატირდება პალესტინაში.
რუსთველის ხატთან მე ვაგდივარ ხელგაბაწრული.
და უკვდავ სახეს, გაძარცული მე, ვეეედრები.
მიიღე გული, სიყვარულით გადაბასრული
უფალო ჩემო, შენ სიყვარულს ვინ შეედრება..
შეიდეგ, შევფიცავ პოეტების მაღალ სიაზე,
უფლის ბაღიდან რომ დასწყვიტეს შრამის მტევნები.
ვილოცავ მათზე, ავტირდები პოეზიაზე
და ნატირალი,—კვლავ სიყვარულს დაეედევნები.

XVII.

მე ავაშენე სიყვარულის უცხო ტაძარი.
მაგრამ ტაძარში არ ისვენებს წმიდა სამება.
იქ წიფლის ჯვარზე გარჩენილა ქრისტეს წამება.
იქ სიცივეა და ტირილი გულშესაზარი.

საშინელებით მემუქრება მე ვალტაზარი.
მიახლოვდება უნახავი რამ დალამება.
ვერ მოვასწარი თვალის დროზე დახამხამება
ისე ჩ იქცა ჩემი გული, ნალაზღაზარი.

გატეხილ ლამით მესიზმრება შენი სიზმარი,
თითქოს შევიქენ შემწირველი მაღალ ტიბეტის.
აღსრულდა უცბათ დაპირება უწყალო ბედის—
მე წავიქეცი და სიკვდილით გადავიზმორე.

შენ ზიარებად შემასმევდი სისხლიან ღვინოს,
რომ სიყვარულმა ლურჯ ძარღვებში დაიტეხვინოს.

. . . . . .

XVIII — XIX — XX.

ეროვნული ბიბლიოთეკა

XXI.

თვალწინ მიდგია დაბინდული, წყნარი სიონი.
და ნინოს ჯვართან სათნოება პოეტებისა. 25)
ინისლებოდა იმ საღამოს დარი მზიანი
და ცივდებოდა შორეული სახე მთებისა.
მოიხსენია ჩემი სული, ცდომილი, ერთმა.
მეორემ ჩემთვის დაილოცა წმიდა ნინოზე.
მე თბილი სისხლი დამაწვეთა იესოს ფერდმა
და გავიგონე ხმა—უტკბესი ძველ ნანინაზე.
განვლო დღეებმა. დავიღალე. ვნახე ზიანი,
მაგრამ დალოცვა მაცოცხლებდა პოეტებისა.
ვიცოდი—ღმერთთან ლექსი ხიდად გაიდებისა
და უფალი ხომ პოეტია, თავაზიანი.
ვიცი, რომ ყველგან, პოეზიის მაღალ წირვაზე

იმედისა და გამარჯვების უხვი თვალია
და როცა ღმერთიც პოეტებში ჩასათვალია—
ვინ გაიფიქროს ღვთის გულიდან ამოძირვაზე.
ეხლაც სიზმარში მეჩვენება ორი პოეტი.
მათი სანთელი. დაბინდული წყნარი სიონი.
კვლავ მიბრუნდება სიყვარული დარბაზიანი
და ვიმართები—მოღვედილი სიმარტოეთი.
კეთილო ძმანო. შევიქენი თქვენი მოვალე.
უკანასკნელად თქვენი ხელით მე ვეზიარე.
თქვენს ხსენებაში ეს რითმები მე გამოვალე
და თქვენი კუბოც უნდა იქნეს ჩემი ზიარი.
იმედით მოდის ანგელოზი. გადაკარგული,
და მოსჩანს გზები—სონეტებით გადათარგული.

NK 224

XXII.

ეკვენ ეცით კოპლი გული ბარათაშვილის—
ყორანმა რომ დაჰხია, ჩხავილით.
ბედი უსაშველო,—
რომ იწყება რუსთაველით.
წმინდანიანმა შესჭამა ედგარი
და შემდეგ ნიკოლოზი.
ორი გული—სიყვარულით ანაფეთქარი—
ორი კოლოსი. 26
და მე ვუიქრობ:
ხომ შესჭამა ყორანმა ბარათაშვილი
და სიმაღლე ედგარის შუბლის,—
მომეც მე საშველი.
იყავ ჩემზე კურთხევა უფლის.
ღმერთო—
უშველე შენს მონას ნიკოლოს:
რომ არ მოკვდეს. არ დაეცეს
არ ჩაიქოლოს..
ღმერთო!..

1922 წ. ზაფხული.
სტამბოლი.

შენიშვნები.

1. იხ. ჩემი ლექსი „წმინდანიანი“. წყეული ფრინველი. ეშმაკეული. სიმბოლო უბედურებისა და „ნეევერმორი“-ს.

2. ლექსი დაწერილია სტამბოლში. აია—სოფიას ქვეშ. ბოსფორზე.

3. გასტრონომიული მაღაზია ტფილისში, არტისტიული საზოგადოების თეატრის წინ, სადაც პოეტებს გვენდობოდენ.

4. „ბუენოს-აირესი“—იმგვარივე დაწესებულება.

5. სასახლე ტფილისში. ყ. პარლამენტი.

6. სასახლესთან, როცა ომი იყო თათრების 1918.

7. ტრაპეზონის დელეგაციის თავმჯდომარე, რომელიც ელაპარაკებოდა თათრებს.

8. ზავი ბრესტ-ლიტოვსკში.

9. თავმჯდომარე რუსეთის დელეგაციისა, რომელმაც ხელი მოაწერა ბრესტის ზავს.

10. სალამოები „ცისფერი ყანწების“, სადაც საუბარი იყო საქართველოს შესახებ.

11. იოანე მთაწმინდელი. ქართველი პატრიოტი. წავიდა ათონს. გარდაიცვალა ჰესპანეთს.

12. „საქანელა და სახრჩობელა“—გრ. როგაქიძის წერილი „ბარიკადაში“. დაყენება საქართველოს პრობლემის.

13. გრ. როგაქიძის შვილი, რომელიც გაასვენა ქართველ პოეტებმა.

14. ჩვენი კრებები სასტუმრო „კავკაზში“ (ტფილისი) ტიციან ტაბიძის ბინაზე. კამათი პოეზიისა და ქვეყნის კრიზისის შესახებ.

15. გრ. როგაქიძე. 16. მისი თემა: გათავება პოეზიის.

17. პოეტი პაოლო იაშვილი. 18. 1921 წ.

19. ტიციან ტაბიძის სიტყვა ჩემს შესახებ: „იუდა, ფ, მაკიაველი“.

20. პოეტი ვალერიან გაფრინდაშვილი, რომელმაც კითხა ჩემი პირველი ლექსი. ერთ კრიტიკულ წერილში მე მას დავარქვი კათოლიკური აბბატი. ყველა ახალგაზდა პოეტი მასთან მიდის აღსარებით.

21. მისი დახასიათება ჩემი პოეზიისა, როგორც გადაბნების და გადაგვარების.

22. ალი არსენიშვილი. მისი დაუვიწყარი სიტყვები ეზიაზე—„ცისფერი ყანწების“ ინტიმურ კრებებზე. ამ ბნის სახელი „შავი ფარსკვლავი“, ეკუთვნის ალი არსენიშვილს.

23. პოეტი პაოლო იაშვილი. მისი ცნობილი ლექსი: ალი არსენიშვილს“.

24. ფალკონეტი—იტალიელი მოქანდაკე, ავტორი ტრე დიდის ძეგლის პეტერბურგში.

25. პოეტები—ტიციან ტაბიძე და გიორგი ლეონიძე. ონის ტაძარში მათ დაანთეს სანთელი ჩემი სულის მოხსენებლად.

26. ნიკოლოზ ბარათაშვილი და ედგარ პო. „ორი თეყორანის“, რომელიც მეჩვენება მე წმინდანიანად.

ნიკოლოზ მიწიშვილის წიგნები:

«წმინდანიანი»—წიგნი ლექსების. ტფილისი. გაიყიდა.

«ქართველი პოეტები»—რუსულ ენაზე. ტფილისი.

«შავი ვარსკვლავი»—პოემა-მოზაიკა. სტამბოლი.

მზადდება:

«წმინდანიანი»—მეორე გამოცემა.

«რუსთაველის ბეჭედი»—სონეტების გვირგვინი.

«ქამელეონი»—რომანი ოთხ ნაწილად.